

სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ

თეა შაყულაშვილი

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინალისტიკის კათედრა

ანოტაცია:

ადამიანის სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობა სამართლებრივი სახელმწიფოს მახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, საყოველთაოდ მიღებული სტანდარტებით სატელეფონო საუბრების ხელშეუხებლობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ მაშინ, თუ საფრთხე ექმნება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ნაციონალურ უსაფრთხოებას, აგრეთვე დანაშაულისა და მასობრივი არეულობის თავიდან ასაცილებლად.

საქართველოში სატელეფონო საუბრების მიყურადება და ჩაწერა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება, რაც ნეგატიურად აისახება როგორც სისხლის სამართალწარმოების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე ისე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებად არის გათვალისწინებული და კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს, როდესაც აღნიშნული მოქმედება შეიძლება იყოს გამოყენებული.

მიგვაჩნია, რომ ადამიანთა უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით აღნიშნული მოქმედება საქართველოშიც დროულად უნდა დარეგულირდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რათა მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება უკეთ დაიცვან თავიანთი კონსტიტუციური უფლება.

საკვანძო სიტყვები: სატელეფონო საუბრები, მიღებული და გადაცემული ინფორმაცია, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, საგამოძიებო მოქმედება, მოსასმენი მოწყობილობა.

გამოგონების შემდეგ ტელეფონი სწრაფად გახდა ადამიანებს შორის ურთიერთობის შეუცვლელი საშუალება. მობილური კავშირგაბმულობის სისტემის შექმნით კი ტელეფონმა შეითავსა ფოსტის მრავალი ფუნქცია (შეტყობინებების, წერილების, მილოცვების გადაცემა, ინტერნეტ-მომსახურება და სხვ.), რითაც დომინანტური მდგომარეობა დაიკავა ინფორმაციის მიმოქცევის ბაზარზე. ამასთანავე, გაიზარდა სატელეფონო საუბრების უკანონოდ მიყურადების საფრთხეც, როგორც ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოების, ისე დაინტერესებული ადამიანების მხრიდან (მაგ., დამნაშავეთა სამყარო, ბიზნეს-კონკურენტები და სხვ.).

სატელეფონო საუბრების საიდუმლო უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლით დანაშაულადაა მიჩნეული სატელეფონო საუბრის საიდუმლოების უკანონოდ დარღვევა. სატელეფონო საუბრების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო პირადი ცხოვრების, არამედ მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე მკვეთრად დაიძაბა და გაუარესდა კრიმინალური ვითარება. მსოფლიოში უდიდესი იმპერიის რღვევამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება კი ცდილობდა როგორმე შეეჩერებინა იგი.

1990 წლის 12 ივნისს სსრკ-ის კანონით “სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის პროცესის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ” სატელეფონო და სხვა სალაპარაკო მოწყობილობებით საუბრების მოსმენა და ჩაწერა აღიარებული იქნა საგამოძიებო მოქმედებად.

იმ დროისათვის არც ერთ საპროცესო ნოვაციას არ გამოუწვევია ისეთი ფართო რეზონანსი, როგორც სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ ნორმას სატელეფონო და სხვა სალაპარაკო მოწყობილობებით გადაცემული საუბრების მოსმენაზე. საბჭოთა მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლიდა, რომ აღნიშნული მოქმედება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპროცესო მოქმედება, დროულად და აუცილებლად უნდა მოეწესრიგებინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონს. “დღევანდელ პირობებში, როდესაც დანაშაული სულ უფრო მეტად იძენს ორგანიზებულ ფორმებს, კარგად არის ინსპირირებული და ხორციელდება ძლიერი შეიარაღებული დაჯგუფებების მიერ, მასთან ბრძოლა შეუძლებელი ხდება ყველაზე სრულყოფილი ტექნიკური საშუალებების გამოყენების გარეშე, რომელთა რიცხვსაც განეკუთვნება სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერაც”¹.

ვ. დუბრივის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონს უნდა დაერეგულირებინა არა მარტო სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა, არამედ გაეფართოებინა იმ სუბიექტთა წრე, რომელთა საუბრებიც შეიძლება მოისმინონ, და მასში ჩართული უნდა ყოფილიყვნენ მოწმეები, დაზარალებული ან პირები, რომლებთანაც ეჭვმიტანილი (ბრალდებული) შეიძლება კონტაქტში შედიოდეს².

უფრო შორს მიდიოდა ვ. სტეპანოვი, როცა მიიჩნევდა, რომ არსებობდა საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მტკიცებულებათა შეგროვების არსებულ სისტემას დამატებოდა მოდელირება, საგამოძიებო-საკონტროლო შემოწმება და სხვა³.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონში სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის, როგორც საგამოძიებო მოქმედების, დაფიქსირების წინააღმდეგ ილაშქრებდა ვ. სავიცი: “დაუშვებელია, მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე გაფართოვდეს მტკიცებულებათა მოპოვების წრე; სატელეფონო საუბრების საიდუმლოს ხელყოფა შესაძლებელია დაშვებული იქნეს ერთეულ და განსაკუთრებულ შემთხვევებში; შეიძლება ამ გზით საგამოძიებო ორგანოებმა მოიპოვონ კიდევ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგრამ ვერავინ ვერ ახსნის იმას, რომ თუ მრავალი ათეული წლის მანძილზე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა წარმატებულად ართმევდა თავს გამოძიებას მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში ასე ღრმად შეჭრის და ამგვარად მოპოვებულ მტკიცებულებათა გარეშე, როცა სატელეფონო საუბრების საიდუმლოს დაცვა კონსტიტუციური ნორმის რანგში ავიდა, რატომ გახდა სასწრაფოდ საჭირო, შევცვალოთ ეს მდგომარეობა და შევზღუდოთ მისი მოქმედების სფერო?”⁴.

¹ Данелиук С., Виноградов С., Щерб С., указ. соч., с. 32

² Дубриный В. А. Расширение пределов допустимости доказательств - одно из необходимых условий успешной борьбы с организованной преступностью (Предварительное следствие в условиях правовой реформы)//Сборник научных трудов. Волгоград, 1991 г., с. 53

³ Степанов В. В., Денежкин Б. А., Проблемы средств доказывания по делам о преступлениях, совершенных организованными группами. Саратов, 1995 г., с. 115-117

⁴ Савицкий В. М. Правосудие и личность//Советское государство и право. 1983 г., №5, с. 60

სატელეფონო საუბრების მოსმენისას გაცილებით მნიშვნელოვანია კონსპირაციულობის შენარჩუნება, ვიდრე გარკვეულ საქმეზე დადებითი შედეგის მიღება, რადგან ასეთი მოქმედება პირდაპირ და უხეშად ხელყოფს ყველაზე უფრო დაფარულ მხარეს ადამიანური არსებობისა – მის პირად ცხოვრებას. ასეთი მოსმენების “მსხვერპლი” შეიძლება უკიდურესად პირადული ინფორმაცია გახდეს. სწორედ ამიტომ კონსპირაციის შენარჩუნება გამორჩეულად აუცილებელია მიღებული ინფორმაციის დაცვისათვის, მისი გაჟონვისა და გახმაურების თავიდან ასაცილებლად⁵.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონით სატელეფონო საუბრების მოსმენის დარეგულირების წინააღმდეგი იყო გ. მეფარიშვილიც. “ჩვენი შეხედულებით, - აღნიშნავს იგი, - სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა სისხლის სამართალწარმოებისას უნდა ხორციელდებოდეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში. გამომძიებელსა და მოკვლევის განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ კანონით განსაზღვრული უფლება, მისცენ ოპერატიულ-სამძებრო ორგანოებს დავალება სატელეფონო საუბრების მოსმენასა და ჩაწერაზე... მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენა - ეს არის უკიდურესი ზომა, რომელიც გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ იმ სიტუაციაში, როცა სხვა საშუალებებით დანაშაულის გახსნა შეუძლებელია”⁶.

ი. პეტრუხინის აზრით, სისხლის სამართლის საპროცესო კანონით სატელეფონო საუბრების რეგლამენტირება ნაადრევთან ერთად მიზანშეუწონელიც იყო: “ბრალდებულის, ეჭვმიტანილის და დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე სხვა პირთა სატელეფონო საუბრების მოსმენა არ შეიძლება იყოს გამომძიებლისა და დამსწრეთა მიერ განხორციელებული საგამომძიებო მოქმედება; მათ არ შეუძლიათ კვირებისა და თვეების განმავლობაში მოსასმენ მოწყობილობებთან შეუსვენებლად მორიგეობა, ამდენად, ეს მოქმედება თავისი ბუნებით ოპერატიულია. ოპერატიულია ის იმიტომაც, რომ ატარებს კონსპირაციულ, ფარულ ხასიათს – რა აზრი აქვს მოსმენას, თუკი ამის შესახებ ყველას ეცოდინება?!⁷ რა თქმა უნდა, ასეთი მოსაზრება სავსებით ლოგიკურია.

ვერ დავეთანხმებით ვერც იმ მეცნიერთა აზრს, რომლებიც დამნაშავეობასთან ბრძოლისა და დანაშაულის გამოძიების მიზნით მოსასმენ სუბიექტთა წრის უსასრულოდ გაფართოებას მოითხოვენ, და ვერც იმათ, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სატელეფონო საუბრების მოსმენის დარეგულირებას სისხლის სამართლის საპროცესო კანონით. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სატელეფონო მოსმენა და ჩაწერა მტკიცებულებათა მოპოვების მნიშვნელოვანი გარანტიაა. მაგ., საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 427-ე მუხლის პირველი ნაწილით, “გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა კანონი ამას პირდაპირ ითვალისწინებს, დანაშაულებრივი ქმედების ნიშნები შეიძლება დადგინდეს ნებისმიერი სახის მტკიცებულებით, ხოლო მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს თავისი შინაგანი რწმენით. ამ ნორმიდან გამომდინარე, სამართალწარმოებაში არასოდეს დგება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგად მიღებულ მტკიცებულებათა ახალი წყაროს გამოჩენის პრობლემა, რადგან მათი დაშვება მტკიცების პროცესში არ საჭიროებს სისხლის სამართლის საპროცესო კანონში რაიმე ცვლილებებისა და დამატებების შეტანას. სატელეფონო საუბრების მოსმენა

⁵ Юрина Л. Г., Юрин В. М., Контроль и запись переговоров. М., 2002 г., с. 12

⁶ Мепаришвили Г. Д., указ. дисс., с. 115

⁷ Петрухин И. Л. Правосудие: время реформ. М., 1991 г., с. 207

დამოუკიდებელ საგამომიებო მოქმედებად აღიარებულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კანონის 186-ე მუხლითაც⁸.

საქართველოში სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა მრავალი წლის განმავლობაში მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ფარგლებში ხდებოდა. დღესაც სატელეფონო საუბრების საიდუმლოს შეზღუდვის წესები და საფუძვლები რეგულირდება საქართველოს კანონით “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ”. 1996 წლიდან 1999 წლამდე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175¹ მუხლი დაწვრილებით არეგულირებდა სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო ტექნიკური საშუალებებით წარმოებული საუბრების კონტროლს და ჩაწერას, რომლის საფუძველსაც წარმოადგენდა გამომძიებლის მოტივირებული დადგენილების საფუძველზე გაცემული მოსამართლის ბრძანება. აღნიშნული მუხლი ითვალისწინებდა საუბრების კონტროლს დაზარალებულის, მოწმის, პროცესის სხვა მონაწილის წერილობითი განცხადების საფუძველზე, თუ მათ მიმართ სატელეფონო ან სხვა სალაპარაკო საშუალების გამოყენებით ხდებოდა შანტაჟი, უკანონო ძალადობა ან სხვა დანაშაულებრივი ხელყოფა⁹.

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმა სატელეფონო საუბრებისა და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით მიღებული ან გადაცემული ინფორმაციის მიყურადება და ჩაწერა საერთოდ არ გაითვალისწინა საგამომიებო მოქმედებად და, ამდენად, იგი არ რეგულირდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.

“ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის “თ” ქვეპუნქტით, სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება და ჩაწერა, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებიდან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურო აპარატურასთან მიერთებით) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაა; იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით, სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, ხოლო გადაუდებელი აუცილებლობისას - მოსამართლის ბრძანების გარეშე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, რის შესახებაც აღნიშნული ღონისძიების დაწყებიდან 24 საათში უნდა ეცნობოს შესაბამის პროკურორს, ხოლო ღონისძიების დაწყებიდან 48 საათის განმავლობაში პროკურორი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საქმიანობის განხორციელების ადგილის მიხედვით. სასამართლო წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში განიხილავს შუამდგომლობას, მოისმენს პროკურორისა და მოკვლევის ორგანოს წარმომადგენლის განმარტებებს და გამოაქვს დადგენილება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა კანონიერად ან უკანონოდ ცნობის შესახებ. აღნიშნული დადგენილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თუ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესში მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ან სხვა გარემოებათა დასადგენად საჭირო გახდა პროცესის მონაწილეთა სატელეფონო საუბრების მოსმენა, მაშინ პროცესის მწარმოებელი თანამდებობის პირი ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს კანონით დადგენილი წესის დაცვით მისცემს წერილობით დავალებას აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების (მოსმენის) ჩატარების შესახებ (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 59, ქვპ. “თ”); აღნიშნული დავალების საფუძველზე ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი მოკვლევის ორგანოს უფროსი

⁸ Уголовный процесс зарубежных государств/Под ред. Гуценко К. Ф. М., 2001 г., с. 301

⁹ ფალიაშვილი ა., სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ//სამართალი. 2000 წ., #4-5, გვ. 91-92

მოტივირებული შუამდგომლობით მიმართავს მოსამართლეს სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით. მოსამართლე შუამდგომლობის დაყენებიდან 24 საათის განმავლობაში პროკურორისა და მოკვლევის ორგანოს წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს აღნიშნულ შუამდგომლობას და იღებს გადაწყვეტილებას, გასცეს ან არ გასცეს ბრძანება სამძებრო ღონისძიებების ჩატარების შესახებ. აღნიშნული მდგომარეობა ნამდვილი საკანონმდებლო ლაბირინთია.

მართალია, “ოპერატიული სამძებრო საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობასთან, წინასწარი გამოძიების წარმოებასთან, რაც განაპირობებელია სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოების წინაშე მდგარი ერთიანი ამოცანებით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით და დამნაშავეობასთან ბრძოლით”¹⁰, მაგრამ სამართლიანად მიგვაჩნია ა. ფალიაშვილის მოსაზრება, რომ არ შეიძლება “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” კანონმა დაარეგულიროს არა მარტო სატელეფონო საუბრების მოსმენის წესი და პირობები, არამედ ისეთი საპროცესო საკითხიც, როგორც არის ასეთი საქმიანობის სასამართლო ბრძანების მიღება¹¹. ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოსამართლის ბრძანების გარეშე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე დასაშვებია მხოლოდ ისეთი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, როგორც არის ჩხრეკა, ამოღება და შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელებისას კი, მოსამართლის ბრძანების გარეშე, სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე, გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზით დაშვებულია განხორციელდეს მოქალაქეთა უფლებების ხელმყოფი ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, როგორც არის სატელეფონო საუბრების მოსმენა (იგივე შეიძლება ითქვას საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილთა კონტროლზეც). ვფიქრობთ, ასეთი კანონმდებლობის პირობებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა დაუმსახურებელი პრივილეგიით სარგებლობს საპროცესო (ოფიციალურ) მოკვლევასა და გამოძიებასთან შედარებით. “ოპერატიულ მოქმედებასთან ერთად წინასწარი გამოძიების ორგანოთა არსენალში უნდა არსებობდეს ანალოგიური საპროცესო მოქმედება. მხოლოდ პროცესსა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ერთდროულად არსებობისა და სუბორდინაციის მკაცრად დაცვის პირობებში (საპროცესო გამოძიების ზემდგომობა) იქნება მოქალაქეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები სათანადოდ უზრუნველყოფილი”¹² - სამართლიანად აღნიშნავს ვ. სემენცოვი.

ამასთანავე, ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ არეგულირებს სატელეფონო საუბრების მოსმენას, ნეგატიურად აისახება არა მარტო პროცესის მიზნებსა და ამოცანებზე, არამედ მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებზე.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა კანონი “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ” ემყარება “ღია და ფარული მეთოდების შეხამების პრინციპებს”, იგი მაინც რჩება გამოხატულად ფარულ საქმიანობად. სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ “მიზეზთა და მიზეზთა გამო,

¹⁰ ლეკიაშვილი დ., ოპერატიული სამძებრო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები//დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი, 2000 წ., გვ.75

¹¹ ფალიაშვილი ა., სატელეფონო საუბრების მოსმენის შესახებ//სამართალი. 2000 წ., #4-5, გვ. 91

¹² Семенцов В. А. Видео- и звукозапись в доказательственной деятельности следователя. Учебно-практическое пособие. М., 1997 г., с. 11

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ბევრი თანამდებობის პირი სათანადოდ თვითონაც ვერ ერკვევა, თუ რა მასალები უნდა წარუდგინოს ზედამხედველ პროკურორსა და ბრძანების გამცემ მოსამართლეს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებაზე ნებართვის მისაღებად¹³ და ამ ფონზე გეომეტრიული პროგრესიით იზრდება სატელეფონო საუბრების მოსმენაზე დაყენებული და მოსამართლის მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობების რიცხვი, რაც კარგად ჩანს თბილისის ერთი რაიონის მაგალითზეც: ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში 2002 წელს სატელეფონო საუბრების მოსმენაზე ნებართვის მისაღებად სხვადასხვა ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დაყენებული იყო 170 შუამდგომლობა, საიდანაც უარი ითქვა 6-ზე; 2003 წელს დაყენებული 593 შუამდგომლობიდან უარი ითქვა 4-ზე; ხოლო 2004 წლის მარტამდე დაყენებული 54 შუამდგომლობიდან ყველა დაკმაყოფილდა. მაგრამ საკითხავია, რამდენად “წაადგა” ეს მოსმენები კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და დამნაშავეობასთან ბრძოლას.

საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარება და გაფორმება ხდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონით მკაცრად განსაზღვრული წესით, როცა არსებობს ამისთვის საჭირო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლით, სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს:

1. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა;
2. ასეთი დანაშაულის კავშირი კონკრეტულ პირთან, ან პირის მიერ დანაშაულზე ან სხვა ფაქტზე ისეთი ინფორმაციის ფლობა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს კონკრეტული საქმისათვის;
3. ის გარემოება, რომ სწორედ ტელეფონის ან კავშირგაბმულობის სხვა საშუალებით შეიძლება გადაიღეს სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ცნობები;
4. დაზარალებულზე, მოწმეზე ან მათ ნათესავებსა და ახლობელ პირებზე ხორციელდება ძალადობის რეალური მუქარა, გამოძალვა ან სხვაგვარი დანაშაულებრივი ქმედება¹⁴.

სატელეფონო მოსმენის განხორციელების კანონიერ საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის დადგენილება, რომელიც მიიღება პროკურორის (გამომძიებლის) მოტივირებული შუამდგომლობის განხილვის შემდეგ; აღსანიშნავია, რომ რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონი სატელეფონო საუბრების მოსმენას არ ითვალისწინებს გადაუდებელ საგამოძიებო მოქმედებად; ამდენად, იგი ტარდება მხოლოდ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, რაც გამორიცხავს მოქალაქეთა პირად ცხოვრებაზე ფართომასშტაბიანი კონტროლის დაწესებას. ასეთი გონივრული საკანონმდებლო ნორმის პირობებში სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის საგამოძიებო მოქმედებად გათვალისწინება დადებითად იმოქმედებს როგორც სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაზე, ისე მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაზე.

ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების წარმომადგენელთა პირადი სატელეფონო საუბრების კონფიდენციალობაც კი მუდმივად საეჭვოა, ჩვეულებრივი მოქალაქისთვის

¹³ ლეკიაშვილი დ., დასახელებული დისერტაცია, გვ. 17

¹⁴ Юрина Л. Г., Юрин В. М., Контроль и запись переговоров. М., 2002 г., с. 26-27

რეალურად ძნელი დასადგენია, ისმინება თუ არა მისი სატელეფონო საუბარი, მითუმეტეს რთულია ამის დანამდვილებით მტკიცება. “ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია” (მუხ. 5, პ. 1). ამ ფონზე არარეალიზებადია მოქალაქის უფლება, მიმართოს ზემდგომ ორგანოს, პროკურორს ან სასამართლოს (მუხ. 6, პ. 2), თუკი მიიჩნევს, რომ მისი სატელეფონო საუბრების საიდუმლო უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაირღვა.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებით მიღებული მონაცემი შეიძლება გახდეს მტკიცებულება, თუ იგი წარმოადგენს ამა თუ იმ საპროცესო წყაროს ცნობის ან ფაქტის (დოკუმენტის გარდა) შინაარსს, ანუ თუ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის ბრძანებით წარმოებული (ან მის მიერ კანონიერად ცნობილი) სატელეფონო საუბარი შეიცავს რომელიმე საპროცესო წყაროს (მაგ., მოწმის ჩვენების) ან ფაქტის (ჩადენილი ან ჩასადენი დანაშაულის) შინაარსს, საუბრის აუდიოჩანაწერი შესაბამისი ოქმით დამაგრდება სისხლის სამართლის საქმეზე და, როგორც მტკიცებულება, დაერთვის ამ საქმეს (მუხ. 26, ნ. 2).

ამდენად, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილისთვის მხოლოდ საქმის მასალების გაცნობის შემდეგ შეიძლება გახდეს ცნობილი, რომ მისი სატელეფონო საუბრები ისმინებოდა. ასეთ დროს საუბრების ჩანაწერი უკვე კანონის დაცვით მოპოვებული მტკიცებულებაა და მის “გაპროტესტებას” არანაირი აზრი აღარ აქვს, ყველა სხვა შემთხვევაში კი მოსმენის ფაქტი ხელმიუწვდომელია მოქალაქისთვის და, ამდენად, იგი მოკლებულია შესაძლებლობას, დაიცვას საკუთარი უფლება.

იმისთვის, რომ სატელეფონო საუბრების მოსმენამ არ ხელყოს მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები და ეს მოქმედება შეესაბამებოდეს დემოკრატიული ქვეყნის კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გახმაურებულ საქმეებზე “კლასი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ”, “მელოუნი ინგლისის გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ” და “იუვეიმი და არიუსონი საფრანგეთის წინააღმდეგ” შეიმუშავა რეკომენდაციები, რომელთა მიხედვითაც, დემოკრატიულ ქვეყნებში სატელეფონო საუბრების მოსმენა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

1. “ხელმისაწვდომობას” - მოქალაქეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, დარწმუნდეს, რომ მოსმენა შეესაბამება კანონის ნორმებს, რომელიც გამოიყენება მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში;
2. “წინასწარი ვარაუდის შესაძლებლობას” - მოქალაქეს უნდა შეეძლოს განჭვრიტოს შედეგი რაიმე შესაძლებელი მოქმედებისა;
3. “ხარისხს” - კანონი უნდა ფლობდეს დაცვის ეფექტიან საშუალებებს მოსმენის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

ამიტომ კანონმა უნდა განსაზღვროს:

1. იმ დანაშაულთა სახეები, რომელთა ჩადენამაც შეიძლება გამოიწვიოს საუბრის მოსმენა;
2. მოსმენა უნდა შეიზღუდოს, თუ პირის ბრალეულობა უკვე დადგენილია სხვა ფაქტობრივი მონაცემებით;
3. მოსმენა სანქცირებული უნდა იყოს მაღალი თანამდებობის პირის (მაგრამ არა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის) წერილობით დოკუმენტში; სასურველია, ეს იყოს მოსამართლე;

4. კანონმა უნდა დაადგინოს მოსმენის ხანგრძლივობა და ეს პერიოდი სანქციაში უნდა იყოს მითითებული;
5. სატელეფონო საუბრების შესახებ მასალები და ანგარიშები უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ წესებს;
6. სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს შორის ამ მასალების გაცვლისას მიღებული უნდა იყოს უსაფრთხოების ზომები;
7. უნდა განისაზღვროს გარემოებები, როცა ჩანაწერი შეიძლება და უნდა განადგურდეს;
8. უნდა განადგურდეს ჩანაწერის დედანი, ასლები ან გადაწერილი მასალები, თუკი ბრალდებული გამართლდება.

სატელეფონო საუბრების მიყურადება განსაკუთრებული სოციალური საშიშროების გამო გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ “იმ დონით, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუტების უსაფრთხოებისათვის. გამონაკლის შემთხვაში კი დემოკრატიული საზოგადოების, აგრეთვე ნაციონალური უსაფრთხოებისათვის ან არეულობის და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად”. ყველა სხვა შემთხვევაში პირს, რომლის სატელეფონო საუბარიც ისმინება, შეუძლია მოითხოვოს მისი ცნობა მსხვერპლად, ამასთანავე, ის ვალდებული არ არის წარადგინოს მტკიცებულება ან სიტყვიერად ამტკიცოს, რომ მოსმენა ნამდვილად ხდებოდა¹⁵.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მივიჩნევთ, რომ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით “სატელეფონო საუბრების მოსმენა” დროულად უნდა დარეგულირდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, რათა ეს პროცესი უფრო მეტად არ გამოვიდეს საზოგადოებრივი და სამართლებრივი კონტროლის სფეროდან.

¹⁵ Стандарты европейского суда по перехвату телефонных сообщений. [www. h-rights.ru](http://www.h-rights.ru)